



შპს თერმო სახლი

ფინანსური ანგარიშგება მს ფასს-ის მიხედვით

წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დირექტორი

ბუღალტერი



გიორგი შატბერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე


სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე-----	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი)----	4
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	5
კაპიტალის ცვლილებების ანალიზი. ფულადი სახსრები-----	6
ზოგადი ინფორმაცია -----	7
განმარტებითი შენიშვნები -----	8-12

დირექტორი



ბუღალტერი




გიორგი შატერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

აწარმოოს ბუღალტრული ჩანაწერები, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

უზრუნველყოს კომპანიის აქტივების უსაფრთხოება.

დირექტორი



გიორგი შატბერაშვილი

ბუღალტერი



იამზე ბუსხრიკიძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი)

	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	380,556	122,449	218,850
სავაჭრო მოთხოვნები	525,421	658,719	398,178
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	257,562	212,134	28,890
მარაგები	1,583,977	1,106,255	551,882
- მზა პროდუქცია	1,583,977	1,106,255	551,882
სხვა არამატერიალური აქტივები	1,284	444	592
ძირითადი საშუალებები	7,677	9,454	2,817
სხვა მიმდინარე აქტივები	38857	0	0
სულ აქტივები	2795334	2,109,455	1,201,209
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	169,709	230,954	308,830
საგადასახადო ვალდებულებები	0		14,785
სხვა ვალდებულებები	0	2,127	13,888
სულ ვალდებულებები	169709	233,081	337,503
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	409,000	309,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2,625,625	1,467,374	554,706
სულ საკუთარი კაპიტალი	2,625,625	1,876,374	863,706
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2795334	2,109,455	1,201,209

დირექტორი

ბუღალტერი

გიორგი შატერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე



საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება)

	2019	2018
ნეტო ამონაგები	6,588,351	5,062,945
საქონლის გაყიდვიდან	6,579,650	5,037,161
სხვა	8,701	25,784
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,113,983)	(3,924,202)
საწყისი მარაგები	(1,106,255)	(551,882)
მარაგების შესყიდვა	(5,591,705)	(4,478,575)
საბოლოო მარაგები	1,583,977	1,106,255
საერთო მოგება	1,474,368	1,138,743
დასაქმებულთა ანაზღაურება	(64,418)	(69,312)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,919)	(2,688)
იჯარის ხარჯი	(85,596)	(34,266)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(47,159)	(119,809)
სულ საოპერაციო ხარჯები	(199,092)	(226,075)
საოპერაციო მოგება	1,275,276	912,668
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,275,276	912,668
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	1,275,276	912,668
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1,275,276	912,668
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,876,374	863,706
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	(409,000)	100,000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(117,025)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,625,625	1,876,374

დირექტორი



გიორგი შატბერაშვილი

ბუღალტერი



რამზე ბუსხრიკიძე



1. კაპიტალის ცვლილებების ანალიზი

2. ფულადი სახსრები

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	409000	1,467,374	1,876,374
საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-409000		1,467,374
წლის მოგება	1275276		2,742,650
განაწილებული დივიდენდი		117025	2,625,625
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2,625,625

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	258,107	(96,401)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	258,107	(96,401)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	122,449	218,850
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	380,556	122,449

დირექტორი

ბუღალტერი




გიორგი შატბერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე



ზოგადი ინფორმაცია

შპს თერმო სახლი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა საქართველოში 2017 წლის 16 იანვარს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო.

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, ხოშარაულის 29

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გათბობის სისტემების, სამშენებლო-მასალების ყიდვა/გაყიდვა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი გიორგი შატბერაშვილი-- 35001029473,

მესაკუთრე (კაპიტალის წილი 100%) გიორგი შატბერაშვილი-- 35001029473,

ფინანსური ინფორმაცია შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 15 სექტემბერს.

დირექტორი

ბუღალტერი



გიორგი შატბერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე

განმარტებითი შენიშვნები:

ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული, მცირე და საშუალო საწარმო სფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსსფას) შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღად სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილი იყოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე



კომპანიის მიერ ფინანსური ინფორმაციის წარდგენა მსს - ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება მეორედ, პირველად წარადგინა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში 2018 წლამდე იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოიქმნიდა. კორექტირება შეეხო მხოლოდ ძირითადი საშუალებებს რომელმაც არსებითი გავლენა არ მოახდინა გაუნაწილებელ მოგებაზე და აღიარებას არ დაექვემდებარა.

დირექტორი

ბუღალტერი

გიორგი შატერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე



შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ეწევა საქმიანობას.

კომპანია უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრულიშემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველ ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაშიგამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ე სთანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დირექტორი

ბუღალტერი

გიორგი შატერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე



სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა „MIDL“ პრინციპს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით,

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით რასაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა, ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით

არამატერიალური აქტივი -

5 წელი

საოფისე ავეჯი კომპიუტერები და სხვა

5 წელი

სავაჭრო ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დირექტორი



გიორგი შატბერაშვილი

ბუღალტერი



იამზე ბუსხრიკიძე



კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალი და საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (მფლობელის) მიერ ფულადი ერთეულის შენატანით, საწესდებო კაპიტალი გაზრდილია

გადასახადები:**მოგების გადასახადი**

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით უნდა განაწილდეს და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (გადახდილი ავანსი, დანაკლისი, დაუდასტურებელი ხარჯი და სხვა)

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

დირექტორი

ბუღალტერი

გიორგი შატერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე



საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - ხელფასის ან სარგებლის გაცემისას 20%. დივიდენდის გაცემისას 5%

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოეშება საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვალებადობით.

გარემოს დაცვას თანდაკავშირებული საკითხები

კანონმდებლობის შესაბამისად როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ხდება მისი აღიარება და შესრულება.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

დირექტორი

ბუღალტერი



გიორგი შატბერაშვილი

იამზე ბუსხრიკიძე

